

მიმოხილვა

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანები

IV ს. უდიდესი ბიზანტიული ღვთისმეტყველის, ორატორის, პოეტის, გრიგოლ ნაზიანზელის (ზედწოდებით ღვთისმეტყველის) თხზულებები აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს მრავალ ენაზე თარგმნილი. შესწავლილია, რომ ბიბლიური წიგნების ციტირების შემდეგ წმ. გრიგოლის თხზულებათა ციტირება ყველაზე ხშირად ხდებოდა ძველ ქრისტიანულ სამყაროში. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ეს თხზულებები ქართულ ქრისტიანულ სამყაროში. ეს თარგმანები დღისათვის ორასამდე ქართულ ხელნაწერშია დაცული. წმ. გრიგოლის თხზულებათა ქართული ვერსიების მნიშვნელობა დიდია ბერძნული ტექსტების ისტორიისათვის, ერთი მხრივ, და ქართული მწერლობის ისტორიისათვის, მეორე მხრივ, რამდენადაც მისი თეოლოგიური თხზულებების მსოფლმხედველობა და სახეობრივი აზროვნება თარგმანების საშუალებით აისახებოდა ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში. ამავე დროს, ეს თარგმანები გამოხატავენ იმ კულტურულ ორიენტაციას და გარემოს, რომელშიც მოლვაწეობდნენ ქართველი მთარგმნელები საზოვარგარეთის სამწიგნობრო კერებში.

ქართულ ენაზე წმ. გრიგოლის თხზულებების თარგმნა ჩვენი ლიტერატურის ადრეული პერიოდიდანვე დაუწყიათ. მრავალთავების სახელით ცნობილ ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებიც IX-XI სს. თარიღდება, მოთავსებულია შობისა და ნათლისლების ჰომილიების (Or. 38, Or. 39) ადრეულ საუკუნეებში შესრულებული ანონიმური თარგმანები (სვანური მრავალთავი — ხელნ. ცენტრ. A 19, X ს., ათონის მრავალთავი — cod. Ath. Iber. 11, X ს., პარხლის მრავალთავი — ხელნ. ცენტ. A 95, XI ს.). ამ თარგმანებში აღნიშნული ტექსტების ლიტურგიკული საჭიროებისათვის შემოკლებული ვერსიებია დაცული, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდება რედაქტურად ორიგინალის დღეისათვის ცნობილი ტექსტისაგან (მ. მელიქიშვილი, მ. რაფავა). გრიგოლ ოშკელს X ს.-ში სომხურიდან უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი ჰომილია (Or. 7, Or. 27, მოთავსებული XI ს. ხელნაწერებში A 87, S 1696), რომელთა ტექსტები სრულიად განსხვავდება როგორც ბერძნული, ისე დღეისათვის ცნობილი სომხური ტექსტებისაგან და მათში დასტურდება მთარგმნელისული რედაქტირების კვალი (მ. რაფავა). მაგრამ წმ. გრიგოლის თხზულებების ინტენსიური თარგმნა მხოლოდ ათონის სკოლიდან იწყება.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შემოქმედების სრულყოფილად თარგმნის ისტორია მისი თხზულებების სრული კორპუსის ჩამოყალიბებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ბერძნული სრული კორპუსის ჩამოყალიბება (50-51 საკითხავიანი კრებულები) IX-XI სს. უკავშირდება. ცნობილია, რომ ქართველი მოღვაწენი, მათ შორის ათონელები, ცდილობდნენ ბიზანტიურ ლიტერატურაში მომხდარი ყოველი სიახლის გადმოღებას. ეფთვიმე ათონელი საფუძველს უურის მის თხზულებათა სრული

კორპუსის ქართულად თარგმნის პირველ ეტაპს. X ს. ბოლო მეოთხედში ეფთვიმეს ბასილი კესარიელის ჰომილიათა კრებულისათვის (H 2251, X ს.) უნდა ეთარგმნა წმ. ბასილის ვრიგოლისეული ეპიტაფია (Or. 43), რომელიც მან ცხოვრების ჟანრის თხზულებად გადაკეთა (ც. ჭურციკიძე); ასევე რამდენიმე სხვა ლიტურგიკული ჰომილია (მაკაბელთა მიმართ - Or. 15, ნათლისლებისათვის - Or. 40), მათ შორის შობის ჰომილია (Or. 38) მაქსიმე აღმსარებლისეული კომენტარებით (Ath. 68, 1002-1005 წწ.) და გრიგოლ ხუცისეული გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება. ამავე სახით შევიდა შემდგომ ეს თხზულებები წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფთვიმე ათონელისეულ კრებულებში: A 92, XI ს. ივირონში ეფთვიმეს სიცოცხლეში მისი ავტოგრაფიდან გადაწერილად არის მიჩნეული; A 1, 1031 წ. კონსტანტინოპოლში გადაწერილი, cod. St.Petersb. P 3; 1040 წ. შავ მთაზე კალიპოსის მონასტერში გადაწერილი, S 383, S 413, XI ს. გადაწერილი; A 87, 1071-1081 წწ. გადაწერილი მარიამ დედოფლის დაკვეთით, S 1696, XI ს. 60-80იან წლებში გადაწერილი პეტრე-პატრიკის მიერ).

ეფთვიმე თარგმნა და შეადგინა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ე. წ. მცირე კორპუსი, რომელიც მოიცავდა 15 ლიტურგიკულ ჰომილიას 16-დან (Orr. 1, 45, 44, 41, 15, 19, 38, 43, 39, 40, 11, 21, 42, 16, 14), უმთავრეს თეოლოგიურ საკითხავებს ძისა და სულიწმიდის შესახებ (Or. 29, 30, 31) და რამდენიმე სხვა საკითხავს (Or. 20, 37, 2, 3). იოანე ათონელის მიერ შედგენილი ეფთვიმეს თარგმანთა ინდექსი (მოთავსებული ეფთვიმეს მიერ 1002 წ. თარგმნილ მათეს თავის განმარტების შემცველ ხელნაწერში — Ath. 13) უკვე შეიცავს ინფორმაციას ეფთვიმეს თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის „ცხოვრებისა და თქვენულნის“, ანუ „წიგნის“ შესახებ (ე. მეტრეველი). ეფთვიმეს არ უთარგმნია წმ. გრიგოლის ერთ-ერთი ლიტურგიკული ჰომილია — წმ. კვიპრიანეს შესხმა (Or. 24), როგორც ჩანს იმიტომ, რომ მან გამოიყენა ამ თხზულების რიტორიკული ფიგურები და იგი წმ. დიმიტრის შესხმად გადაკეთა (მ. მაჭავარიანი). ეფთვიმესათვის დამახასიათებელი დიდი კომპოზიციური ცვლილებების გამოყენებით არის შესრულებული Or. 42 ინტერპოლაციებით თეოლოგიური ეპისტოლებიდან (Epist. 101, 102), Or. 20, ინტერპოლაციით Or. 28-დან, აგრეთვე Or. 2 და Or. 3 ჰომილიების თარგმანები (ქ. ბეზარაშვილი). ეფთვიმეს მიერ შედგენილი მცირე კორპუსი განმანათლებლურ მიზნებს ემსახურებოდა ქართველი ერისათვის. ამავე კრებულში შედიოდა კომენტარების თარგმანი (ფსევდონონეს კომენტარების მცირე ნაწილი Or. 39-ზე, მაქსიმე აღმსარებლის თეოლოგიური კომენტარები Or. 38-ზე), გრიგოლ ხუცისეული გრიგოლ ღვთისმეტყველის (ცხოვრება).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კორპუსის შევსების საჭიროება, როგორც ჩანს, მალევე დადგა. ეს მისია, შესაძლოა, ეფთვიმე ათონელის წრემ დაავალა დავით ტბელს, რომლის თარგმანები გრიგოლის ქართული კორპუსის შექმნის მეორე ეტაპია. როგორც ბოლო დროს გამოიირგვა, ეს თარგმანები, რომლებმაც შეავსო ეფთვიმე ათონელის კრებულები (იხ. ზემოთ დასახელებული კრებულები დაწებული A 1-დან), XI ს. პირველ მეოთხედს განეკუთვნება. დავითმა თარგმნა მანამდე უთარგმნელი ერთი ლიტურგიკული ჰომილია (Or. 24), ერთი თეოლოგიური ჰომილია (Or. 28) და რამდენიმე არალიტურგიკული ჰომილია (Or. 2, 4, 8, 9, 10, 12, 34, 36, epist. 101). თავისი მთარგმნელობითი მეთოდით დავით ტბელი ათონელთა მიმდევარია, თუმცა მას თავის თარგმანებში ეფთვიმეს მასშტაბის დიდი კომპოზიციური ცვლილებები არ შეავს. სალვონისმეტყველო ტერმინოლოგიისა და ბიბლიური ციტაციის გადმოტანის თვალსაზრისით დავით ტბელის თარგმანი ელინოფილურს უახლოვდება, დავით ტბელის თარგმანები წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისა გარდამავალი საფეხურია ათონურსა და ელინოფილურ სკოლების მთარგმნელობით პრინციპებს შორის. მას, შესაძლოა, შავ მთაზე ეთარგმნა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეს თხზულებები (მ. მაჭავარიანი).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართულად თარგმნის ბოლო დამაგვირგვინებელი ეტაპია ეფრემ მცირის მიერ შავ მთაზე შესრულებული თარგმანები, რითაც მან სრულყო ეფთვიმესა და დავითის მიერ დაწებული ქართული კორპუსის ბერძნულიდან თარგმნა (რასაც საგარებოდ ალნიშნავს თავის კოლოფონში — A 292, 1800 წ., 329rv). ამ მიზნით მან უპირველესად თარგმნა ის არალიტურგიკული საკითხავები, რომლებიც არ ჰქონდათ ნათარგმნი ეფთვიმესა და დავითს, თავადვე განსაზღვრა მათი რაოდენობა, როგორც „ათცხარამეტი აბორიტა“-სი, ანუ ლიტურგიკისათვის უცხო საკითხავებისა (ერთხანს გრიგოლის 19 საიდუმლო პიმნის თარგმანი ეგონათ) და შემოგვინახა ინფორმაცია ამ ბერძნული ტერმინით (aporeton/aporeta) გრიგოლის არალიტურგიკული თხზულებების ალნიშვნის შესახებ (A 292, 279v. ქ. ბეზარაშვილი). ამავე პრინციპით და ბერძნულ დედანთან დაახლოების მიზნით ეფრემმა ხელმეორედ თარგმნა გრიგოლ ოშკელის მიერ სომხურიდან თარგმნილი ორი თხზულება (სათანადო ანდერძის დართვით: სომებისა შვილსა და ბერძენისა შვილიშვილსა საკუთარი შევისო ვარჩიეო, A 292, 312r) და ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი Or. 3. ეს აპორიტები ეფრემს თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში უთარგმნია სიტყვაშემატებით, ანუ განვრცობითი მეთოდით (ე. ჭელიძე).

ამით ეფრემმა შეავსო და დაასრულა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სრული კორპუსი ქართულად და დაუახლოვა იგი 51-საკითხავიან ბერძნულ სრულ კორპუსს. კორპუსის ეს ტიპი მოიცავს გრიგოლის 44 ჰომილიას (აკლია მხოლოდ Or. 35), ოთხ თეოლოგიურ ეპისტოლეს (Epist. 101. 102. 202. 243), ორ მეტაფრასს (Metaphrasis in Ecclesiasten, Signification in Ezechielem), ერთ ლექსს, ე.წ. ბიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშს (Exhortatio ad virginem — c. I, 2, n. 3). ეფრემი ცდილობს შედგენილობის თვალსაზრისით შექმნას ბერძნულის ანალოგიური და მაქსიმალურად სრულყოფილი კრებული ძირითადი და დამატებითი საკითხავებით. მაგ., ძირითად საკითხავებთან ერთად დანართების სახით გრიგოლის ეფრემისული კრებულები შეიცავს გრიგოლ ხუცისეულ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას (VII ს.), ჰომილიებზე დართულ ბასილი მინიმუსის კომენტარებს (X ს.), იამბიკოებს, ნიკიტა ჰერაკლიელისეულ პარაფრას c. II, 2, n. 119-ზე (X ს.) და ა.შ. ეფრემის, როგორც ელინოფილი მოღვაწის, მიზანი იყო მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ დედნებთან როგორც ხელნაწერი კრებულების შედგენილობის მხრივ, ისე ტექსტობრივი თვალსაზრისით (ქ. ბეზარაშვილი). ეფრემის ერთმა კრებულმა (Jer. 13, XII ს.) შემოინახა სოფრონ იერუსალიმელის მიერ შედგენილი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმის ტექსტი. რომლის ბერძნული დედანი დღესდღეობით დაკარგულად არის მიჩნეული (თ. მარგიანი).

ეფრემმა მხოლოდ კორპუსის დასრულების შემდეგ (ანუ არალიტურგიკული საკითხავების თარგმნის შემდეგ) ხელმეორედ თარგმნა ეფთვიმეს მიერ მანამდე თარგმნილი გრიგოლის 16 ლიტურგიკული ჰომილი ბერძნულთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით და ტერმინოლოგიური ზედმიშევრულობით (ე. ჭელიძე), რაც ეფთვიმეს თარგმანების საყოველთაო დანიშნულებისაგან განსხვავებით, მხოლოდ განსწავლულთა მცირე წრისათვის იყო გამიზნული (ეფრემის კოლოფონის მიხედვით. Jer. 43, 1-4rv). ეს თარგმანი შესანიშნავად შედგენილი ცალკე კრებულების სახით ჩამოყალიბდა და გავრცელდა (A 109, XII-XIII სს., A 1490, XII-XIII სს., Jer.43, XII-XIII სს., Jer. 8 / Jer. 157, XII ს., Jer. 15 / Jer. 157, XII ს., Jer. 13, XIII-XIV სს., Sin. 79, XII-XIII სს., K 9, XIII ს.). ეფრემის ეს კრებულები მკვეთრად ელინიზებული კრებულებია. ისინი სრულყოფილად იმეორებს ბიზანტიური წიგნის ატრიბუტიკას თავისი მარგინალური ნიშნებით, პროსოდიით, სტიქომეტრიით, იკონოგრაფიით, კომენტირების ტექნიკით და ა. შ. 16 ლიტურგიკული ჰომილის ეფრემისეული თარგმანი შესრულებულია ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში 1089-1100 წწ.-ში (თ. მოხმეზური).

ეფრემის თარგმანების ჩვენამდე შემორჩენილი ერთადერთი სრულყოფილი კრებულის (A 292, 1800 წ.) არქეტიპად მიიჩნევა ორტომედი, რომლის პირველი ტომი 16 ლიტურგიკულ ჰომილის მოიცავდა, ხოლო მეორე ტომი — არალიტურგიკულ საკითხავებს (ამას მოწმობს გადამწერის ანდერძი — A 292, 405rv). ეფრემის მიერ შედგენილი კრებულების უანრული მრავალფეროვნება განაპირობებდა მისი მთარგმნელობითი მეთოდის სხვადასხვა სახეობას ერთი კრებულის ფარგლებში — თავისუფალს, ერთი მხრივ, და ელინოფილურს, ადეკვატურს, მეორე მხრივ.

ეფრემსავე ეკუთვნის გრიგოლის პოეზიის პირველი ქართული თარგმანი — ვრცელი და მცირე გრომური ლექსების საფუძველზე (cc. I, 2, nn. 32, 33, 19, 39, 40) შედგენილი ე. წ. ასეული იამბიკო, რომელიც კრებულებში ლიტურგიკულ ჰომილებთან ერთად იყო მოთავსებული (A 109, Jer. 43, XII-XIII სს.). ფაქტობრივად ამ თარგმანით ეყრება საფუძველი ქართულ მწერლობაში წმინდა ლიტერატურულ პოეზიას, რომელსაც ლიტურგიკულისაგან განსხვავებული დანიშნულება ჭირდა.

გრიგოლის კრებულებზე შუშაობის ბოლო ეტაპია გელათური სკოლა. ამ სკოლაში ანონიმის მიერ მესამედ ითარგმნა გრიგოლის ერთი ჰომილი (or. 2), რომელიც მანამდე ეფთვიმე ათონელსა და დავით ტბელს ჭირდათ თარგმნილი, შეიქმნა გრიგოლის კრებულების ლიტურგიკული საკითხავებისათვის მიძღვნითი იამბიკოები (ე. ჭილიძე); ამავე სკოლაში სასწავლო დაწიშნულებისათვის ითარგმნა გრიგოლის პოეზიის ნაწილი ანონიმი მოღვაწის მიერ (ვრცელი გრომური ლექსები ზოგიერთი კომენტარით — c. I, 2, nn. 31, 32, 33, 34; მცირე ლექსები და აღსარებითი პიმნები — c. I, 1, nn. 13, 16; c. I, 2, n. 7; c. II, 1, nn. 14, 24, 25, 26, 56, 58, 60, 62, 63, 64, 78, 79, 80, 99 etc. შემორჩენილი ხელნაწერით S 2568, XVIII ს.). ამავე სკოლაში ითარგმნა გრიგოლის 43-ე ჰომილის (ბასილის ეპიტაფიის) ფრაგმენტი ნიკიტა ჭერაკლიელისეული XI ს. კომენტარით, რომელიც ითანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტუების ერთ-ერთ ნაწილად იყო მიჩნეული (თ. ოთხმეტური, ქ. ბერარევგილი). თავისი შინაარსით ისიც სასწავლო დანიშნულებისა და ზოგადსაგანმანათლებლი დისციპლინების სწავლებას ეხება.

გრიგოლის ქართულ კრებულებში აისახა მის თხზულებებზე დაწერილი კომენტარების თარგმანიც: ფსევდო-ნონებს მითოლოგიური კომენტარების თარგმანი ეფრემ მცირის მიერ (დართული ჰომილებზე — or. 4, or. 5, or. 39, or. 43); ბასილი მინიმუსის კომენტარებისა ეფრემის მიერ, რომლებიც ერთვის გრიგოლის 16 ლიტურგიკულ ჰომილის (A 109, Jer. 43, Jer. 15, Jer. 13. თ. ოთხმეტური).

ეფრემისეულმა კრებულებმა შემოინახა მისი უნიკალური კოლოფონები: ანდერძმინაწერები, შენიშვნები, ბიზანტიური წინასიტყვაობების (prooemion) მსგავსად შედგენილი შესავალი ეპისტოლები, სადაც მან ჩამოაყალიბდა მთარგმნელობითი თეორია და ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებები, გრამატიკულ-სტილისტიკური, ლექსიკოლოგიური შენიშვნები და ა. შ. გრიგოლის შრომებთან დაკავშირებით (Jer. 43, Jer. 13, Jer. 8/157, A 292).

გრიგოლის თხზულებების ეფრემისეული თარგმანების მნიშვნელობა უდიდესია ქართული მწერლობისათვის და კულტურისათვის ზოგადად, გრიგოლის აზრების ეფრემისეულმა გააზრება და ფორმულირებები გაგრცელდა ქართულ მწერლობაში და ხელი შეუწყო დადგინთი დამოკიდებულების გამომუშავებას ე.წ. „გარეშე“, ანუ საერო სიბრძნისადმი, ანტიკური კულტურის სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებისადმი სქოლასტიკური მიზნებისათვის, რაც თავისებურად ასახა ორიგინალურ ქართულ მწერლობაშიც და ხელი შეუწყო საერო ლიტერატურის აღმოცენებას.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების შესწავლა და პუბლიკაცია ხორციელდება ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ. 1980-იანი წლებიდან აკად. ე. მეტრეველის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის ჯგუფი პროფ. ჟ. გარიტის რეკომენდაცით ჩართულია გრიგოლ ღვთისმეტყველის შემსწავლელ საერთა-

შორისო პროგრამაში (რომელიც 1976 წლიდან არსებობს. 1987 წ. ევროპის საჭირო ამ სამუშაოს საერთაშორისო სტატუსი მიანიჭა და ჩართო ევროპაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევათა ინტერნაციონალურ პროგრამაში). სამუშაოს ახორციელებს ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ჯუფი პროფ. ი. მოსეის, ბ. კულის, მ. ზიხერლის ხელმძღვანელობით. ლუვენის ჯუფთან თანამშრომლობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჯუფები. ამჟამად გრიგოლ ნაზიანზელის კვლევის ევროპულ ცენტრს ხელმძღვანელობს პროფ. ბ. კული (Centre for the Study of Gregory of Nazianzus, UCL, Louvain-la-Neuve. ვებ-გვერდი: <http://nazianzos.fltr.ucl.ac.be/>). ლუვენის ჯუფთან ერთად გრიგოლის თხზულებათა editio maior critica-ზე მუშაობს აგრეთვე მიუნსტერის ვესტფალიის უნივერსიტეტის ბიზანტინისტთა ჯუფი პროფ. მ. ზიხერლის ხელმძღვანელობით.

შრომები ქვეყნდება ცნობილი სერიით Corpus Christianorum, Series Graeca. Corpus Nazianzenum. აგრეთვე Studien zur Geschichte und Kultur des Altertums (სერიით Forschungen zu Gregor von Nazianz). სერიის რედაქტორები არიან პროფესორები ბერნარ კული, უსტინ მისეი, მარტინ ზიხერლი. ამ სერიით გამოვეუნდა თ. ბრეგაძის მიერ შედგენილი გრიგოლის შრომათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გრიგოლის ტექსტების პუბლიკაციის 5 ტომი, ფსევდო-ნონეს მითოლოგიური კომეტარები. გადაცემულია დასაბეჭდად დანარჩენი მასალა.

გრიგოლ ნაზიანზელის შემსწავლელი ცენტრი განთავსებულია ლუვენის უნივერსიტეტის ორიენტულისტიკის ინსტიტუტში, სპეციალურ კაბინეტში, სადაც გრიგოლის შესახებ არსებულ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, ბერძნულ და აღმოსავლურ ხელნაწერთა მიკროფილმები, ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა (http://pot-pouri.fltr.ucl.ac.be/nazianze/biblio_generale.htm) და კომპიუტერიზებული სალექსიკონი მასალა არის დაცული (Thesaurus Patrum Graecorum. A Collection of Lemmatized Concordances of Greek Patristic and Byzantine Authors. <http://www.fltr.ucl.ac.be/FLTR/GLOR/Lexicon/>).

სტატიები გრიგოლ ღვთისმეტველის თხზულებათა აღმოსავლურ ვერსიებზე სისტემატურად იბეჭდება უურნალში Le Muséon (Revue d' Etudes Orientales);

ქართულმა ჯუფიმა ამ სამუშაოს შესასრულებლად სამჯერ მოიპოვა INTAS-ის გრანტი (პროექტებით #94-3783, 1995-1997 წწ., #97-677, 1998-2001, #03-51-6120, 2004-2007. ინფორმაცია ამის შესახებ www.nazianzos.fltr.ucl.ac.be).

ლიტერატურა

ქ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980. M. Tarchnischvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte K. Kekelidze (Studi e Testi, 158), Vatican, 1955. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988. T. Bregadze, Répertoire des manuscrits de la version géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze, dans Versiones Orientales, repertorium Ibericum et studia ad editiones curandas, ed. B. Coulie (Corpus Christianorum. Series Graeca, 20. Corpus Nazianzenum, 1), Turnhout, 1988. თ. ცერაძე, რამდენიმე უცნობი იერუსალიმური ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის. Academia. ისტორიულ-ფილოლოგიური უურნალი, 2, თბ., 2001, გვ. 38-44.

ფსევდონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ა. გამურელიძემ და თ. ოთხმეზურმა. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თ. ოთხმეზურმა, თბ., 1989. S. Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, I. Orationes I, XLV, XLIV, XLI, editae a H. Metreveli et K. Bezachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezouri, M. Rapava, M. Chanidze cum Introductione a H. Metreveli

et E. Chelidze (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 36. *Corpus Nazianzenum*, 5), Turnhout, 1998. S. Gregorii Nazianzeni opera. *Versio Iberica*, II. *Orationes XV, XXIV, XIX*, editae a H. Metreveli et K. Bezarachvili, M. Dolakidze, T. Kourtsikidze, M. Matchavariani, N. Melikichvili, M. Rapava, M. Chanidze (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 42. *Corpus Nazianzenum*, 9), Turnhout, 2000. S. Gregorii Nazianzeni opera. *Versio Iberica*, III. *Oratio XXXVIII*, edita a H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezouri, M. Rapava (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 45. *Corpus Nazianzenum*, 12), Turnhout-Leuven, 2001. *Pseudo-Nonniani* in IV *orationes Gregorii Nazianzeni commentarii*, *Versio Iberica*, edita a Th. Othkhmezouri (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 50. *Corpus Nazianzenum*, 16), Turnhout-Leuven, 2002. S. Gregorii Nazianzeni opera. *Versio Iberica*, IV. *Oratio XLIII*, edita a B. Coulie et H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezouri, M. Rapava (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 52. *Corpus Nazianzenum*, 17), Turnhout-Leuven, 2004. S. Gregorii Nazianzeni opera. *Versio Iberica*, IV. *Orationes XXXIX, XL*, editae a B. Coulie et H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, M. Rapava (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 58. *Corpus Nazianzenum*, 20), Turnhout-Leuven, 2007. ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, წერილები, 5. ქაჯაიას გამოცემა, თბ., 2006. გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანებიდან, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთოთ ქ. ბეზარაშვილმა, თსუ შრომები 285 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1989, გვ. 153-174. გრიგოლ ნაზიანზელის პიმების ანონიმური ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთოთ ქ. ბეზარაშვილმა. თსუ შრომები, 323 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1997, გვ. 138-155. გრიგოლ ნაზიანზელის გნომური პოეზიისა და მისი კომენტარების ანონიმური ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთოთ ქ. ბეზარაშვილმა, თსუ შრომები, 340 (ლიტერატურათმცოდნეობა), 2002, გვ. 155-194.

G. Lafontaine, H. Metreveli, *Les versions copte, arméniennes et géorgiennes. État des recherches*, dans II *Symposium Nazianzenum* (Louvain-la-Neuve, 25-28 août 1981), Actes édités par J. Mossay (Studien zur Geschichte und Kultur des Altertums, N.F., 2 Reiche: Forschungen zu Gregor von Nazianz, 2), Paderborn, Munich, Vienne et Zurich, 1983, p. 63-73. Th. Othkhmezouri, *Les signes marginaux dans les manuscrits Géorgiens de Grégoire de Nazianze*, dans Le Muséon. Revue d' Etudes Orientales, t. 104, 1991, p. 335-347. M. Rapava, B. Coulie, *Les Colophons d' Ephrem Mtsire et les traductions Géorgiennes de Gregoire de Nazianze*, dans Le Muséon. Revue d' Etudes Orientales, t. 104, 1991, p. 109-124. T. Kourtsikidze, *La composition du manuscrit Iviron 68 et le colophon d' Ephrem Mtsiré*, dans Le Muséon. Revue d' Etudes Orientales, t. 113, 2000, p. 429-437. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. მაცნე, ელს, 3, 1986, გვ. 87-112. K. Bezarashvili, *The Problem of the so-called "Aporeta" in the Georgian Corpus of the Works of Gregory the Theologian*, dans Le Muséon. Revue d' Etudes Orientales, t. 108, Louvain-la-Neuve, 1995, p. 131-142. K. Bezarashvili, *The Significance of Gregory the Theologian's Works for the Georgian Literary Tradition*, in: Le Muséon, t. 118, 2005, p. 269-297. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მნიშვნელობა ქართული სიტყვიერი კულტურისათვის. ლიტერატურული ძებანი, XXVI, 2005, გვ. 79-94. ოთხმეტური, ქ. ბეზარაშვილი, იოანე პეტრიჭის ე.წ. „ბოლოსი-ტყვაობის“ ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი. MNHMH. ა. ალექსიძისადმი მიძღვნილი, თბ., 2000, გვ. 207-239. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემ მცირისეულ კრებულებზე დართული ელინოფილური სკოლის მიძღვნითი იამბიკოებისათვის. მრავალთავი, XVIII, თბ., 1999, გვ. 253-263. ქ. ბეზარაშვილი, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „ნიკიტას პარაფრაზი“ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხულებათა ეფრემ მცირისეულ კრებულებზი. კ.კეკლიძე, 120, თბ., 1999, გვ. 19-39. მ. მაჭავარიანი, დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები

და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები. მრავალთავი, XX, თბ., 2004, გვ. 106-114. მ. მაჭავარიანი, წმ. დიმიტრი თესალონიკელის შესხმა ქართულ მწერლობაში. მაცნე, ელს, 2004-2005, გვ. 165-176. ც. ქურაციძე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 42-63. თ. მარგარიანი, სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუად შესხმისად წმიდი-სათვს და დიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა“ ქართული თარგმანი. ფილოლო-გიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 131-143. მ. რაფაელ, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილია „ნათლისლებისათვს“ (ირ. 39) ქართულ მრავალთავებში. მაცნე, ელს, 1, 1993, გვ. 58-71. ნ. მელიქიშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის შობის ჰომილის (ირ. 38) ქართული თარგმანე-ბი. მაცნე, ელს, 2, 1991, გვ. 89-100. ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნა-ზიანზელის, გრიგოლ წოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბ., 2000 (და იქ დასახელებული ბიბლიოგრაფია). ე. ჭელიძე, ძველი ქართული სალგთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ., 1996. ქ. ბეზარაშვილი, რიტორი-კისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., მეცნიერება, 2004 (და იქ დასახ. სრული ბიბ-ლიოგრაფია).

შენიშვნა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების შესა-ხებ სამეცნიერო ლიტერატურა ორასამდე ერთეულს აღწევს (იხ. დასახ. ბიბლიო-გრაფიები; ასევე ვებ-გვერდი: <http://nazianzos.fltr.ucl.ac.be/>). საერციკლოპედიო შრო-მაში დასახელებულია მხოლოდ უარსებითესი პუბლიკაციები და გამოკვლევები.

ქეთევან ბეზარაშვილი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო კატალოგი

2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირმა გამოსცა ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგი სამ ტომად სა-ხელწოდებით The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. კატა-ლოგის ბაზისს შეადგენდა ანტი აარნეს დაარსებული და შემდგომ სტილ თომპსონის მიერ გავრცობილი „ზღაპართა ტიპების საძიებელი“, ოომელიც გადამუშავა და სრულყო გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპარმცოდნებმ, პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამიერიდან სამეცნიერო მიმოქცევაში ზღაპრის ახალი კატალოგი მითითებული იქნება შემოკლებით ATU (Aarne-Thompson-Uther).

ევროპაში გავრცელებულ ზღაპართა ტიპებისათვის ანტი აარნეს მიერ შედგენილი სისტემა (Aarne, A.: Verzeichnis der Märchentypen, Helsinki 1910 =FF Communications 3.) სტილ თომპსონმა გაზარდა და ორი გამოცემა მოამზადა (Aarne, A.: The Types of the Folk-Tale. Translated and Enlarged by Stith Thompson, Helsinki 1928 = FF Communications 74; Aarne, A./Thompson, St.: The Types of the Folktale. A Classification and Bibliography. Second Revision, Helsinki 1961 =FF Communications 184.).

დღეს უკვე ხელთ გვაქვს ჰანს-იორგ უთერის მიერ საფუძვლიანად გადამუშავებუ-ლი ზღაპრის ტიპთა კატალოგი, ოომელშიც შემდგენელმა გაასწორა ის ლაფსუსები, რომლებიც წინა საძიებლებს ახლდა და ამავე დროს არ დაურღვევია ტრადიციული პრინციპები სიუჟეტთა ტიპების აღწერისათვის.